

*შპს „ა-ლ.ფ.აგგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი	შენიშვნა
	31.12.2023	
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	364610	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1364847	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები		
მარაგები	425267	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	2065	
- სხვა	423202	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	100000	
ძირითადი საშუალებები	2830819	
არამატერიალური აქტივები	143201	
სულაქტივები	5228744	3.5
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2170794	
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37511	
		3.6
საგადასახადო ვალდებულებები	34023	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2513104	
სულვალდებულებები	4755432	
საკუთარი კაპიტალი		3.7
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	473312	
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულსაკუთარი კაპიტალი	473312	
სულსაკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5228744	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2154723	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2170794	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2024 წ.

დირექტორი: _____ **გიორგი ტალახაძე**

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2023	
ნეტო ამონაგები	3947956	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3812532	
- მომსახურების გაწევიდან	135424	
გაყიდვების თვითღირებულება	-2746722	
საერთო მოგება	1201234	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-220817	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-171684	
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-195882	
იჯარის ხარჯი	-254	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-381336	
სულ საოპერაციო ხარჯები	-969973	3.8
საოპერაციო მოგება	231261	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-1786	
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-8086	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	221389	
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	221389	
სხვასრული შემოსავალი/ზარალი		
სხვასრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიან სრული შემოსავალი/ზარალი	221389	
საკუთარი კაპიტალის საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	221389	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2024 წ.

დირექტორი: _____ **გიორგი ტალახაძე**

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2023
საოპერაციო საქმიანობა:	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4758131
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-4676849
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	81282
გადახდილი მოგების გადასახადი	0
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	81282
საინვესტიციო საქმიანობა:	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-340866
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-340866
საფინანსო საქმიანობა:	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	2078711
სესხის ძირის გადახდა	-1313011
სესხის პროცენტის გადახდა	-195882
დივიდენდების გადახდა	0
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	596817
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	310233
სავალუტო კურსის ეფექტი	-1786
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	56164
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	364610

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2024 წ.

დირექტორი: _____ **გიორგი ტალახაძე**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინაწილი

1.1. შპს „ა-ლ. ფ. ა ჯგუფი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია 2022 წლის 6 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404634909. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: სასაქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ვაჟა-ფშაველას ქ., N 36-38 ბ. 18. მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, გარდაბნის რაიონი სოფელი გაჩიანი

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01011005607, გიორგი ტალახაძე	27.50%
01026011917, ელენე გოლოვაჩოვა	39.17%
76 7730446 /რუსეთის ფედერაცია, ვალენტინა რომანოვა	33.33%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი ტალახაძე, (პ.ნ.01011005607)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ფრაქციული ღორღის და ქვიშის წარმოება და რეალიზაცია, ასფალტ-ბეტონის წარმოება, ასევე რკინა-ბეტონის სანიაღვრე მილების (ღარების) წარმოება და მათი შემდგომი რეალიზაცია. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2. 1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2. 3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა: შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში ან სხვა აქტივის თვითღირებულების კომპონენტად. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო

კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	16285
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6095
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8.83
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	35687
სულ:	364610

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	1364847
სულ:	1364847

3. 3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	0
წინასწარ გაწეული ხარჯები	0
სულ:	0

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
საქონელი	8608
ნედლეული და მასალები	309969
მზა პროდუქცია	2065
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	104624
სულ:	425267

3.5. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	საწყისი ღირებულება	ცვეთის ჯგუფი	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
2110 - მიწის ნაკვეთები	685058.71		0	685058.71
2130 - შენობები	157075.23	2230 - შენობის ცვეთა	8222.08	148853.15
2150 - მანქანა- დანადგარები	913706.29	2250 - მანქანა- დანადგარების ცვეთა	64267.77	849438.52
2160 - ოფისის აღჭურვილობა	80334.49	2260 - ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	11488.42	68846.07
2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი	56061.41	2270 - ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	8617.68	47443.73
2180 - სატრანსპორტო საშუალებები	1100540.42	2280 - სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	82280.83	1018259.59
2190 - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	16033.08	2290 - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	3113.42	12919.66

2830819

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტ პირებთან	2170794
	2170794

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ფინანსური იჯარა	843197
გრძელვადიანი სესხი სს "თიბისი ბანკი"-სგან	1669907
სულ:	2513104

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	137,215.02
მიწოდების სხვა ხარჯები	3,016.95
სოციალური დანარიცხები	3,966.37
კომუნიკაციის ხარჯები	722.80
კომუნალური ხარჯები	69,701.42
საკონსულტაციო ხარჯები	102,121.43
სხვა საგადასახადო ხარჯი	3,363.00
საბანკო მომსახურება	1,384.51
სხვა საერთო ხარჯი	59,844.47
სულ	381,336

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 29 სექტემბერს.